

შ-04/148-16

23.03.16

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო



MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15^ა
15^ა, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/8515
18/03/2016

8515-04/07-2-201603181601



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ თამარ გვარამაძეს

ქალბატონო თამარ,

სამინისტროში 2016 წლის 17 მარტს შემოსული თქვენი #გ-04/124-16 განცხადების პასუხად,
გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს და წარმართავს იურიდიული დეპარტამენტი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მეშვეობით. სამმართველოში დასაქმებულია 5 ადამიანი და მათი 2016 წლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 69 000.0 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის #332 დადგენილების საფუძველზე, ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შეიქმნა „პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველო“, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიულ-პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებაზე. სამმართველოში ამ ეტაპზე დასაქმებულია 3 ადამიანი.

2. როგორც წესი, სამინისტროს სტრატეგიულ დოკუმენტებსა და საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობის პროცესში ჩართულები არიან საერთაშორისო დონორი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“), სახალხო დამცველის აპარატი და სხვ. თუმცა სამინისტროს საშტატო ნუსხა არ ითვალისწინებს ცალკე ადგილი ისეთი ფუნქციის მატარებელი საშტატო ერთეულის არსებობას, რომელიც სტრატეგიულ დოკუმენტებზე და საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობის პროცესში პასუხისმგებელი იქნებოდა საზოგადოებასთან საჯარო კონსულტაციების ჩატარებაზე.

პატივისცემით,

გოგუცა გურული

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი